შუახევის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-193
11/04/2019

193-07-4-201904111039

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრის“ წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1.1 შევიდეს ცვლილებები შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2019 წლის 5 აპრილის №06-180 ბრძანებით დამტკიცებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრის“ (შემდგომში დღის ცენტრი) წესდებაში და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრის“ დირექტორს გია სურმანიძეს (პ/ნ 61010004802) მიეცეს უფლებამოსილება იმოქმედოს მუნიციპალიტეტის სახელით და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დაარეგისტრიროს ნებისმიერი ცვლილება, რომელიც დაკავშირებული იქნება დღის ცენტრთან.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფრიდონ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

დანართი

კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი“- ს წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – „შუახევის შშმ პირთა დღის ცენტრი“ (შემდგომში დღის ცენტრი) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე შექმნილ კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და მისი დამფუძნებელია შუახევის მუნიციპალიტეტი;

ბ) დღის ცენტრი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით;

გ) დღის ცენტრი სარგებლობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებებით;

დ) დღის ცენტრი კანონმდებლობით და ამ წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, საკუთარი სახელით იძენს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს, კისრულობს მოვალეობებს, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით გამოდის სასამართლოში მოსარჩლედ და მოპასუხედ, აგრეთვე მესამე პირთან ურთიერთობაში.

ე) დღის ცენტრს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი, შტამპი და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები, ის ანგარიშსწორებას აწარმოოს სახაზინო ანგარიშიდან;

ვ) დღის ცენტრის იურიდიული მისამართია: დაბა შუახევი, რუსთაველის III შესახვევი №3.

მუხლი 2. დღის ცენტრის ძირითადი მიზნები, ამოცანები და საქმიანობის მიმართულებები

დღის ცენტრის ძირითადი მიზნები და ამოცანებია:

ა) შშმ პირთა საჭიროებების (შემეცნებითი, ემოციური და ფიზიკური) საჭიროებების გამოვლენა და მათი დაკმაყოფილება;

ბ) შშმ პირთა სახელობო-პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარების ხელშეწყობა;

გ) შშმ პირთა კულტურულ და სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში ჩართვის უზრუნველყოფა;

დ) შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის საჭირო უნარებისა და სოციალური ინკლუზივის განვითარების ხელშეწყობა;

ე) შშმ პირების ბენეფიციართა ცენტრებში მიყვანისა და შინ დაბრუნების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;

ვ) შშმ პირთა წლიური ინდივიდუალური აბილიტაციის და/ან რეაბილიტაციის პროგრამის შედგენა (ერთხელ, მიუხედავად მომსახურების მიმწოდებლის შესაძლო ცვლილებისა), განხორციელება და განახლება;

ზ) შშმ ბავშვთა ხელშეწყობა ინკლუზიური განათლებისათვის.

თ) შშმ პირთა ვერბალური/ალტერნატიული კომუნიკაციის განვითარების ხელშეწყობა;

ი) შშმ პირთა დახმარებას კვების, საპირფარეშოს, პირადი ჰიგიენის დაცვის პროცესში;

მუხლი 3. დღის ცენტრის უფლებები და ვალდებულებები

1. დღის ცენტრს დაკისრებული ამოცანების განსახორციელებლად უფლება აქვს:

ა) აწარმოოს მოლაპარაკებები და დადოს გარიგებები, აგრეთვე განახორციელოს სხვა იურიდიული ქმედებები, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ორგანიზაციებთან, მათ შორის, დაამყაროს საერთაშორისო ურთიერთობები.

ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, განახორციელოს დამხმარე სახის სამეურნეო-კომერციული საქმიანობა, თუკი ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები მოახმარდება ცენტრის მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას;

გ) დამოუკიდებლად ჩამოაყალიბოს თავისი განვითარების პროგრამა, კანონმდებლობით

დადგენილი წესით განსაზღვროს გაწეული მომსახურების (მუზეუმების, გიდების, დარბაზების გამოყენების) ღირებულება;

დ) განსაზღვროს ცენტრით სარგებლობის წესები, მიიღოს შესაბამისი ზომები დღის ცენტრისადმი მატერიალურ ზიანის მიყენების შემთხვევაში;

ე) განახორციელოს ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, საწარმოსა და პარტნიორის ინტერესებს.

2. დღის ცენტრი ვალდებულია:

ა) წარმართოს თავისი საქმიანობა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო, კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და ამ წესდების შესაბამისად;

ბ) წარმართოს შრომითი (მათ შორის სახელშეკრულებო) ურთიერთობანი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

გ) შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ვალდებულებები;

დ) დაიცვას დღის ცენტრის მომსახურებით მოსარგებლე პირთა უფლებები.

მუხლი 4. დღის ცენტრის ხელმძღვანელობა

1. დღის ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი.

2. დღის ცენტრის დირექტორის არყოფნის, უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის ან შეწყვეტის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობის შესრულებას შუახევის მუნიციპალიტეტის მერი ავალებს დღის ცენტრის სხვა თანამშრომელს;

3. დღის ცენტრის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს დღის ცენტრის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;

ბ) მინდობილობის გარეშე წარმოადგენს დღის ცენტრს ყველა ინსტანციაში, გასცემს მინდობილობებს, დღის ცენტრის სახელით დებს გარიგებებს;

გ) მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად განაგებს დღის ცენტრის ქონებას და საფინანსო სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე;

დ) თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს დღის ცენტრის მოსამსახურეებს, საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად წარმართავს შრომით ურთიერთობებს;

ე) მუშაობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად შუახევის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით ამტკიცებს დღის ცენტრის ბიუჯეტს, სტრუქტურას, საშტატო ნუსხას და თანამდებობრივ სარგოებს;

ვ) ამტკიცებს დღის ცენტრის შინაგანაწესსა და სამსახურებრივ ინსტრუქციებს;

ზ) პასუხისმგებელია თანამშრომლების შუახევის დღის ცენტრის მიერ დაწესებული წესების ბრძანებებისა მოთხოვნების შესრულებაზე.

თ) ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ზომები რათა ყველა თანამშრომელმა მიიღოს მონაწილეობა ორგანიზაციის წინსვლასა და განვითარებაში.

ი) განსაზღვროს შრომის კოდექსის შესაბამისად თანამშრომელთა შრომითი ხელშეკრულებების და თანამდებობრივი სამუშაოს ვალდებულებების შესრულება.

კ) გამოსცემს ინდივიდულაურ სამართლებრივ აქტს - ბრძანებას რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად დღის ცენტრის ყველა თანამშრომლისათვის.

ლ) ასრულებს კანონმდებლობით და ამ დებულებით მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

4. უფლება აქვს თანამშრომლების მიმართ გამოიყენოს შემდეგი დისციპლინური ღონისძიებები:

ა) სამუშაო პროცესში გამოვლენილი წარმატებისთვის წახალისების შემდეგი ფორმები:

ა.ა) მადლობის გამოცხადება

ა.ბ) ფულადი და ფასიანი საჩუქრით დასჩუქრება

ბ) დისციპლინარული პასუხისმგებლობის შემდეგი ფორმები:

ბ. ა) შენიშვნა

ბ. ბ) საყვედური

ბ. გ) ხელფასის დაქვითვა არაუმეტეს 10 დღისა

დ) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/სამსახურიდან დათხოვნა.

5. დირექტორი ვალდებულია შუახევის მუნიციპალიტეტის მერს წარუდგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველკვარტლური და წლიური ანგარიში ყოველი წლის და კვარტლის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე;

6. დღის ცენტრის სტრუქტურული ერთეულები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მერის ბრძანებით, წინამდებარე წესდებით, დღის ცენტრის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი (ბრძანება) აქტებით.

მუხლი 5. დღის ცენტრის საქმიანობის კონტროლი

1. დღის ცენტრის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;

2. დღის ცენტრის კონტროლის განმახორციელებელი ორგანო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში არის შუახევის მუნიციპალიტეტის მერი, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა;

3. კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს დღის ცენტრის არამართლზომიერი გადაწყვეტილება;

4. დღის ცენტრს მეთოდურ ხელმძღვანელობას უწევს და მის ძირითად საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

მუხლი 6. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. დღის ცენტრს მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის თანხმობით აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა;

ბ) ისეთი გარიგებების დადება, რომელიც გულისხმობს ფინანსური ვალდებულებების აღებას;

გ) სხვა გადაწყვეტილებები დღის ცენტრის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

დ) დღის ცენტრის ბიუჯეტის, სტრუქტურის, საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცება.

მუხლი 7. საბუღალტრო ანგარიშგება და კონტროლი

1. დღის ცენტრი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი და დასამტკიცებლად წარუდგინოს შუახევის მუნიციპალიტეტის მერს.

2. შუახევის მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია განახორციელოს დღის ცენტრის საფინანსო კონტროლი შუახევის მუნიციპალიტეტის მერის შიდა აუდიტის სამსახურის ან დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით.

მუხლი 8. დღის ცენტრის ქონება

1. დასახული მიზნებისა და დაკისრებული ფუნქციების განსახორციელებლად, დღის ცენტრის ქონებას წარმოადგენს მისი ფინანსური სახსრებით შეძენილი ან/და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გადაცემული შენობა-

ნაგებობანი, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა. ასეთ ქონებაზე დღის ცენტრს აქვს უსასყიდლო სარგებლობის უფლება.

2. დღის ცენტრის ლიკვიდაციის შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იგივე ან მსგავსი მიზნების მქონე სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს. თუ ასეთი იურიდიული პირი (პირები) არ არსებობს ან ასეთი იურიდიული პირის (პირების) გამოვლენა შეუძლებელია, შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ.

მუხლი 9. დღის ცენტრის დაფინანსების წყაროები

1. დღის ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) შუახევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;

ბ) სპონსორებისაგან (სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, კერძო პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები) მიღებული თანხები, შემოწირულობანი, სხვა სახის ფინანსური დახმარება;

გ) შემოსავლები რომლებიც მიიღება ცენტრის მიერ სხვა იურიდიული თუ ფიზიკური პირებისათვის გაწეული მომსახურების შედეგად;

დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 10. დღის ცენტრის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

დღის ცენტრის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ფრიდონ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა